EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის დროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

აპრილი 2011 №4 (26)



9 მაისი ევროპის დღეა

1950 წლის 9 მაისს პარიზში საფუძველი ჩაეყარა ევროპული გაერთიანების შექმნას, რომლის მიზანი ევროპაში ომების შეჩერება და მშვიდობიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბება იყო.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა ამ ისტორიულ დღეს საერთაშორისო პრესას

დეკლარაცია (შემდგომში ცნობილი, როგორც „შუმანის დეკლარაცია") გააცნო, რომელიც საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა ევროპული ქვეყნებისადმი მოწოდებას წარმოადგენდა, რათა გაეერთიანებინათ ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება, რაც საფუძვლად დაედებოდა ევროპის გაერთიანებას.

1985 წლის 9 მაისს მილანში ევროკავშირის ლიდერების შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ეს დღე „ევროპის დღედ" გამოცხადებულიყო.

ამჟამად ევროკავშირი თავის შემადგენლობაში ოცდაშვიდ წევრ სახელმწიფოს ითვლის. ქვეყანა, რომელიც გადაწყვეტს ევროპულ ოჯახში გაწევრიანებას, ვალდებულია გაიზიაროს მისი ფუნდამენტური ღირებულებები.

ევროკავშირის სიმბოლიკიდან ჩვენთვის ყველაზე უკეთ ცნობილია: ევროპის დღე 9 მაისი; ევროპის დროშა (ლურჯ ფონზე გამოსახული 12 ოქროსფერი ვარსკვლავი); ევროპის ჰიმნი „ოდა სიხარულს" (ბეთხოვენის მეცხრე სიმფონია) და ევროკავშირის მთავარი დევიზი - „მრავალფეროვნებაში გაერთიანებული "(United in Diversity.)

საქართველოში ევროპის დღე ყოველწლიურად აღინიშნება სხვადასხვა ღონისძიებით ევროკომისიის წარმომადგენლობასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატიურ კო-

რპუსთან და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე ევროპასთან ინტეგრაციაზე ორიენტირებულ სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად.

გამოყენებულია ფოტო მასალა ევროკავშირის ოფიციალურ ვებ-გვერდიდან: www.europa.eu



Le 6 Mai 1950

La paix mondiale ne saurait être sauvegardée sans des efforts créateurs à la mesure des dangers qui la menacent.

La contribution qu'une Europe organisée et vivante peut apporter à la civilisation est indispensable au maintien des relations pacifiques. En se faisant depuis plus de 20 ans le champion d'une Europe unie, la France a toujours eu pour objet essentiel de servir la paix. L'Europe n'a pas été faite, nous avons eu la guerre.

L'Europe ne se fera pas d'un coup, ni dans une construction d'ensemble : elle se fera par des réalisations concrètes créant d'abord une solidarité de fait. Le rassemblement des nations européennes exige que l'opposition séculaire de la France et de l'Allemagne soit éliminée : l'action entreprise doit toucher au premier chef la France et l'Allemagne.

ევროკალენდარი

2 – 3 მაისი

ენერგეტიკის მინისტრების არაფორმალური შეხვედრა
(ბუდაპეშტი, უნგრეთი)

4 – 6 მაისი

ევროპის მომავალი ტექნოლოგიების კონფერენცია და გამოფენა
(ბუდაპეშტი, უნგრეთი)

9 – 12 მაისი

ევროპარლამენტის პლენარული სესია და კომიტეტების შეხვედრა
(სტრასბურგი, საფრანგეთი)

19 – 20 მაისი

განათლების, ახალგაზრდობის და კულტურის საბჭოს შეხვედრა
(ბრიუსელი, ბელგია)

30 – 31 მაისი

კონკურენტუნარიანობის საბჭოს შეხვედრა
(ბრიუსელი, ბელგია)

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

აპრილის დაიჯესტი

ევროპარლამენტში მოსალოდნელი აზრთასხვაობა მგზავრთა შესახებ

არსებული კანონპროექტის თანახმად, ინფორმაცია არაწევრი ქვეყნების მგზავრების შესახებ (PNR) სათანადო ნაციონალურ ორგანოებს უნდა გადაეცეს. მაგრამ გაერთიანებული სამეფო კანონპროექტში ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან შემოსული მგზავრების შესახებ ცვლილებების შეტანას მოითხოვს. ბრიტანეთის ინიციატივით, ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თვითონ აირჩიონ რომელი ქვეყნის მგზავრების შესახებ შეაგროვებენ ინფორმაციას და არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან იქნება მგზავრი თუ არა; ამასთანავე დასაბუთებული უნდა იყოს დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

ნაკლებად სავარუადოა, რომ ევროპარლამენტი ამ ინიციატივას დაეთანხმოს, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველდღიურად ევროკავშირის მოქალაქეებზე დაგროვდება უამრავი დოკუმენტი, რომელიც გამოძიებას არ საჭიროებს, ეს კი სრულ ქაოსს გამოიწვევს.

მიიჩნევენ, რომ ბრიტანეთის მიერ შემოთავაზებული ცვლელება ისევე არ გაამართლებს, როგორც არ გაამართლა იმ კანონმა, რომელიც აიძულებს ტელეკომს, დააგროვოს ინფორმაცია მომხმარებლებზე 2 წლის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში პოლიციას გადასცეს. ეს კანონი ანტიკონსტიტუციურად სცნეს გერმანიამ, რუმინეთმა და ჩეხეთმა.

„ინფორმაცია მგზავრების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე გვაქვს მოსალოდნელ საფრთხესთან, მაგრამ უნდა მოიძებნოს ამ ინფორმაციის შეგროვების ეფექტური და არადისკრიმინაციული ფორმა," აცხადებს პიტერ ჰუსტინქსი, ევროკავშირის მონაცემთა ბაზის ზედამხედველი.

ევროკავშირი იაპონურ საკვებზე რადიაციული შეზღუდვების გამკაცრებას აპირებს

ფუკუსიმაში მომხდარი მოვლენების შემდეგ ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ ევროკავშირს იაპონიიდან იმპორტირებულ საკვებზე რადიაციული შეზღუდვების გამკაცრებისაკენ მოუწოდა. ევროპარლამენტის წევრებთან საუბრისას ამ ზომებს "ჩვეულებრივი სიფრთხილე" უწოდა.

ბაროზომ დეპუტატებს განუცხადა: ,,ჩვენ გადავწყვიტეთ გარდამავალ ეტაპზე იაპონიასთან დაკავშირებით დავაწესოთ ახალი სტანდარტები, რადგან არსებული შეზღუდვები დაშვებულ ნორმებზე დაბალია".

აღსანიშნავია, რომ ევროპაში იაპონიიდან იმპორტიტებული ზღვის პროდუქტების წილი ძალიან მცირეა, რადგან ევროკავშირის ქვეყნები ზღვის პროდუქტების 99%-ს სხვა ქვეყნებიდან ღებულობენ.

კეტრინ ეშტონი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში სტუმრობის შესახებ

ევროკავშირმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი კვირის დასაწყისში ცხინვალსა და სოხუმში "საქართველოს ხელისუფლების წინასწარი თანხმობის გარეშე" ჩავიდა.

"ევროკავშირი არ მიიჩნევს, რომ ეს ვიზიტები შეესაბამება ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს," — განაცხადა საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის პრესსპიკერმა 28 აპრილს გავრცელებულ განცხადებაში.

"ევროკავშირი კიდევ ერთხელ გამოხატავს მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ხაზს უსვამს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით მისი საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების ფარგლებში," — ნათქვამია განცხადებაში

იტალია და საფრანგეთი შენგენის ზონის შიდა საზღვრების დახურვას ითხოვენ

იტალია და საფრანგეთი ევროკავშირისგან შენგენის ზონის შიგნით დროებითი სასაზღვრო კონტროლის აღდგენას ითხოვენ - ამის შესახებ ნათქვამია იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონისა და საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის წერილში ევროკომისიის თავმჯდომარის ჟოზე მანუელ ბაროზოსა და ევროპის კავშირის მეთაურ ჰერმან ვან რომპეისადმი.

დოკუმენტში, რომელიც იტალია-საფრანგეთის სამიტის შემდეგ მომზადდა, აღნიშნულია, რომ აუცილებელია განმტკიცდეს FRONTEX-ის სააგენტოს როლი, რომელიც კოორდინაციას უწევს საგარეო საზღვრებზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობას.

"შენგენის ზონის კონტროლის გაძლიერება უფრო ეფექტური უნდა იყოს და ხელს უნდა უწყობდეს ერთობლივი დისციპლინის განმტკიცებას, გარე საზღვრების უფრო საიმედო დაცვას და ამასთანავე შენგების ზონის გაფართოების მიზნებსაც"– აღნიშნულია წერილში.

გარდა ამისა, ბერლუსკონისა და სარკოზის აზრით, განხილულ უნდა იქნას შენგენის ზონის შიგნით სასაზღვრო კონტროლის დროებითი აღდგენის შესაძლებლობა, ვინაიდან საგარეო საზღვრების მართვა "განსაკუთრებული სირთულით" ხასიათდება.

ბილ გეითსი: "ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებას კიდევ 10 წელი დაჭირდება"

ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDG), მათ შორის სიღარიბის დაძლევა, შესაძლებელი იქნება, თუ მდიდარი ქვეყნები შეასრულებენ თავიანთ დანაპირებს დახმარების შესახებ. მიუხედავად ამისა, კომპანია Microsoft-ის დამფუძნებლის და ფილანტროპ ბილ გეითსის თქმით, დასახული მიზნის მიღწევას ვადა, რომელიც 2015 წლისთვის იყო განსაზღვრული, კიდევ 6 წლით გადაიწევს.

რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცა (OECD) დახმარების განვითერების ანგარიშს წარმოადგენდა, ბილ გეითსმა შენიშვნები გამოთქვა ევროპარლამენტის განვითარების კომიტეტის წევრების მიმართ.

2005 წლის მაისში ევროკავშირის 15-მა წევრმა სახელმწიფომ ღარიბი ქვეყნების დახმარების მზადყოფნა დაადასტურა, რაც გულისხმობდა მათთვის 2015 წლამდე მთლიანი ეროვნული შემოსავლის (GNI) 0.7 %-ის გადაცემას. გეითსმა ევროპარლამენტის წევრებს განუცხადა, რომ ეს დანაპირები რომ შესრულებულიყო, ისინი დამატებით 20 მილიარდ ევროს მიიღებდნენ.

ათასწლეულის განვითარების მიზნები გულისხმობს უკიდურესი სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრას, საყოველთაო დაწყებითი განათლებისა და გენდერულ თანასწორობის უზრუნველყოფას და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. ამ ინიციატივის რატიფიცირება გაეროს წევრი სახლემწიფოების მიერ 2000 წელს მოხდა და მისი განხორციელების საბოლოო ვადა 2015 წელია.

ბილ და მელინდა გეითსების ფონდი 15 წლის წინ დაარსდა. ფონდმა თანხების უდიდესი ნაწილის, დაახლოებით 24.5 მილიარდი ევროს ინვესტიცია ჯანდაცვის სფეროში განახორციელა და თანხები უმეტესად იაფი ვაქცინების განვითარებას მოხმარდა.

გამოყენებული წყაროები:
www.euractiv.com; www.euobserver.com; www.europeanvoice.com

თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტი ევროკავშირის კვირეულის ფარგლებში მაისის თვის განმავლობაში გეგმავს შემდეგ ღონისძიებებს:

9 მაისი — საქველმოქმედო აქცია, სადაც შეგროვდება შემოწირულობა იაპონიაში ატომური კატასტროფის შედეგად დაზარალებულთათვის. აქციაზე სხვა უცხოელ სტუმრებთან ერთად საგანგებოდ იქნება მოწვეული იაპონიის ელჩი. სტუმრებს გაუმასპინძლდებიან ტკბილეულით და გამაგრილებელი სასმელებით. ღონისძიება გაიმართება თსუ მე-2 კორპუსის წინ, ჭავჭავაძის გამზირი 3, ღონისძიების დაწყების დრო: 12 საათი.

10 მაისი — საჯარო ლექცია პარტიკ მესსერლინის, მიშელ ემერსონის, ალექსანდრ ლე ვერნუას და გია ჯანდიერის ავტორობით გამოქვეყნებული მოხსენების თაობზე "აღმოსავლეთის სამეზობლოში ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის შეფასება საქართველოს მაგალითზე." მომხსენებელი: გია ჯანდიერი. მისამართი: თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი, ჭავჭავაძის გამზირი 3, თსუ მე-2 კორპუსი, მე-4 სართული, ოფისი 406, ღონისძიების დაწყების დრო: 16:00 საათი. RSVP director.ces@tsu.ge

11 მაისი — საფრანგეთის ელჩის მისი აღმატებულება ერიკ ფურნიეს შეხვედრა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის და თსუ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებთან. დასწრება თავისუფალია. მისამართი: თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი, ჭავჭავაძის გამზირი 3, თსუ მე-2 კორპუსი, მე-4 სართული, ოფისი 406, ღონისძიების დაწყების დრო: 16:00 საათი. RSVP director.ces@tsu.ge

13 მაისი — ლატვიაში საქართველოს ელჩის მისი აღმატებულება კონსტანტინე კორკელიას საჯარო ლექცია. დასწრება თავისუფალია. მისამართი: თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი, ჭავჭავაძის გამზირი 3, თსუ მე-2 კორპუსი, მე-4 სართული, ოფისი 406, ღონისძიების დაწყების დრო: 16:00 საათი. RSVP director.ces@tsu.ge

16 მაისი — საკონფერენციო ნაშრომების მიღების ოფიციალური გამოცხადება და საორიენტაციო შეხვედრა მსურველებთან. „კონფერენციის თემა: კონფლიქტების პრევენცია, ევროპული, ევროკავშირის და გაეროს გამოცდილება და როლი. შეხვედრის ადგილი: თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი, ჭავჭავაძის გამზირი 3, თსუ მე-2 კორპუსი, მე-4 სართული, ოფისი 406, შეხვედრის დაწყების დრო: 12:00 საათი. RSVP director.ces@tsu.ge

24 მაისი — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თორნიკე გორდაძის შეხვედრა სტუდენტებთან და საჯარო ლექცია. მისამართი: თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი, ჭავჭავაძის გამზირი 3, თსუ მე-2 კორპუსი, მე-4 სართული, ოფისი 406, ღონისძიების დაწყების დრო: 16:00 საათი. RSVP director.ces@tsu.ge

ევროპული კვლევების ინსტიტუტის სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.tsu.ge

ევრობიბლიოთეკა

ევროკავშირის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

"The Middle of the Map - Geopolitics of Perceptions"
გამომცემელი: John Harper Publishing
ავტორი: Attila Marjan
ენა: ინგლისური.

"Legitimacy in European Administrative Law: Reform and Reconstruction"
გამომცემელი: Europa Law Publishing
ავტორი: Matthias Ruffert
ენა: ინგლისური

"Stalking in the Netherlands"
გამომცემელი: Maklu-Publishers
ავტორი: Suzan van der Aa
ენა: ინგლისური.

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ:
http://eubookshop.com/1

ევროსტატისტიკა

ევროკავშირის დემოგრაფიული გამოწვევები

აპრილში ევროკავშირის სტატისტიკურმა ოფისმა, ევროსტატმა, გამოაქვეყნა ახალი მონაცემები ევროკავშირში დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. ამჟამად გაზრდილი მიგრაციული ნაკადების, შობადობის რიცხვის, სიცოცხლის ხანგრძლივობის, მოსახლეობის დაბერების და სხვა ფაქტორების ფონზე ევროკავშირის წინაშე დემოგრაფიული ვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ევროკავშირში შობადობის მკვეთრი ვარდნა შეიმჩნევა. სიტუაციის ცვლილება 2003 წლიდან დაიწყო, როდესაც შობადობის მაჩვენებელი გაუტოლდა 1.47%-ს და განაგრძო ზრდა 2008 წლამდე, როდესაც ეს რიცხვი გახდა 1.60%. მალტის, ლუქსემბურგისა და პორტუგალიის გარდა შობადობის მატება მოხდა ევროკავშირის ყველა სახელმწიფოში. 2003 წლიდან 2009 წლამდე ყველაზე დიდი მატება აღინიშნა ბულგარეთში, სადაც ეს რიცხვი 1.23%-დან 1.57%-მდე გაიზარდა, ასევე სლოვენიაში (1.20%-დან 1.53%-მდე), ჩეხეთსა (1.18%-დან 1.49%-მდე) და ლიტვაში (1.26%-დან 1.55%-მდე).

2009 წელს ყველაზე მაღალი შობადობა აღინიშნა ირლანდიაში (2.07), საფრანგეთში (2.0), დიდ ბრიტანეთსა (1.96) და შვედეთში (1.94), ხოლო ყველაზე დაბალი ეს რიცხვი აღმოჩნდა ლატვიაში (1.31), უნგრეთში (1.32), პორტუგალიასა (1.32) და გერმანიაში (1.36).

ბოლო 50 წლის განმავლობაში ევროკავშირში 10 წლით გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა და შეადგინა 82.4 წელი ქალებისა და 76.4 წელი მამაკაცებისათვის. ამგვარი ზრდა აღინიშნა ყველა წევრ სახელმწიფოში, ამასთან მაქსიმალური იყო ესტონეთსა და სლოვენიაში. 2009 წელს სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ქალებისთვის იყო საფრანგეთში (85.1), ესპანეთში (84.9), იტალიასა (84.5) და კვიპროსზე (83.6), ხოლო კაცებისთვის – შვედეთში (79.4), იტალიაში (79.1), ესპანეთსა (78.7) და ჰოლანდიაში (78.8).

ბოლო წლების მანძილზე ევროკავშირში მოსახლეობის რიცხვის ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იმიგრაცია გახდა. 2004-დან 2008 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 3-4 მილიონი იმიგრანტი იმკვიდრებს ადგილს. 2010 წლის მონაცემებით ევროკავშირში 32.4 მილიონი უცხოელი ცხოვრობს (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 6.5%). აქედან 12.3 მილიონი ევროკავშირის მოქალაქეები არიან, რომლებიც სხვა წევრ სახელმწიფოში დამკვიდრდნენ. 20.1 მილიონი კი მესამე ქვეყნებიდან შემოსული მოქალაქეები. 2010 წელს უცხოელთა ყველაზე დიდი რიცხვი იყო გერმანიაში (7.1 მილიონი), ესპანეთში (5.7მილიონი), დიდ ბრიტანეთში (4.4 მილიონი), იტალიასა (4.2 მილიონი) და საფრანგეთში (3.8 მილიონი). პროცენტული მაჩვენებლით უცხოელთა ყველაზე დიდი რიცხვი არის ლუქსემბურგში (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 43%), ლატვიაში (17%), ესტონეთში (16%), კვიპროსზე (16%), ესპანეთსა (12%) და ავსტრიაში (11%).

ევრო პაიჭრა

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

მაკედონიის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტის სასწავლო პროგრამა საერთაშორისო სტუდენტებისთვის

მაკედონიის ქალაქ სკოპიეს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტი „ევრო-ბალკანეთი“ აცხადებს კონკურსს მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელი საერთაშორისო სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების გასავლელად შემდეგი მიმართულებებით:

- გენდერი (სქესი და ფილოსოფია, სქესი და სოციოლოგია);
- ევროპათმცოდნეობა (სამხრეთ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები);
- კულტურათმცოდნეობა;
- ბიზანტიოლოგია;

ინსტიტუტი წარმოადგენს ერასმუს მუნდუსის ევროპული პროგრამის ნაწილს. სასწავლო კურსი იმართება ინგლისურ ენაზე, ამიტომ სავალდებულოა აღნიშნული ენის სრულფასოვნად ცოდნა.
დაინტერესებულმა კანდიდატებმა შევსებულ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად ელექტრონულად უნდა გაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი პროგრამით გათვალისწინებულ ან მონათესავე სფეროებში;
- მოკლე ავტობიოგრაფია (CV);
- სამოტივაციო წერილი (150—300 სიტყვა);
- პერსონალურად ხელმოწერილი სააპლიკაციო ფორმა (ხელმისაწვდომია ინსტიტუტის ვებ—გვერდზე).

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 21 ივნისი.

რუმინეთის საზაფხულო სემინარი "მესაფერისი საერთაშორისო საზოგადოების ძიება"

ლუქსემბურგის ევროპულ და საერთაშორისო სწავლებათა ინსტიტუტი შავი ზღვის უნივერსიტეტის ფონდთან და რუმინეთის ევროპულ კულტურულ ცენტრთან ერთად აცხადებს კონკურსს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპიდან საერთაშორისო სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისათვის საერთაშორისო საზაფხულო სემინარში (სახელწოდებით: „შესაფერისი საერთაშორისო საზოგადოების ძიება“) მონაწილეობის მისაღებად. სემინარი გაიმართება რუმინეთის დაბა ვამა ვეჩეში 2011 წლის 15 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით.

სემინარის მიზნად ისახავს საერთაშორისო საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სტრატეგიული ურთიერთობის, აღნიშნულ სფეროში არსებული სტრუქტურებისა და მექანიზმების შეფასებას, აგრეთვე სიმდიდრისა და ძალაუფლების გადანაწილების დონას განხილვას და არსებულ პრობლემათა მოგვარების გზების ძიებას.

პროგრამის სამუშაო ენაა ინგლისური. წარჩინებულ კანდიდატებს ლუქსემბურგის ევროპულ და საერთაშორისო სწავლებათა ინსტიტუტი დააფინანსებს 395 ევროს ოდენობის გრანტით, რომლითაც ანაზღაურდება პროგრამაში მონაწილეობის, დაბინავებისა და კვების ხარჯები.

სემინარში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა შევსებულ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად ელექტრონულად უნდა გაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- რეზიუმე (CV);
- სამოტივაციო წერილი;
- ორგვერდიანი ესე, რომელიც უნდა ეხებოდეს პროგრამით გათვალისწინებული საკითხებიდან ერთ-ერთს.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 18 ივნისი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N32, ოთახი N219-220, ტელ.: (832) 29 47 11

euinfocentre@parliament.ge

FM 102.4 "ევროპის დროით ირინა სერფსვაძესთან ერთად"

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას
" ევროპის დროით ირინა სერფსვაძესთან ერთად "
საქართველოს რადიოს
პირველი არხი

კონრად ადენაუერის სახელობის
ფონდის დაფინანსებით
"ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს
4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung

ნომერზე მუშაობდნენ: ირინა სერფსვაძე, თეა ფარიელაშვილი, თამარ ჯელიძე, მარიკა კაჭარავა.

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ: www.parliament.ge/ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი